



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 207/ს
17/05/2023

207-21-4-202305170948



**ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წანაშში საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის მიერ მდ. ხელედულას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წანაშში მდ. ხელედულას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მთაგორიან მონაკვეთზე, მდ. ხელედულას კალაპოტში. ტერიტორიაზე მიმდინარეობს ეროზიული პროცესები. მდ. ხელედულას კალაპოტში ხდება მყარი ნატანების აკუმულაცია, რაც ხელს უშლის მდინარის ნაკადის სწორხაზოვან მიმართულებას კალაპოტში. წყალდიდობის დროს ხდება წყლის ნაკადის გადმოსვლა ნაპირებიდან, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო და საყანე მიწების დატბორვას. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია კალაპოტის ამოწმენდა და დაღრმავება, ხოლო ჭალის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე გათვალისწინებულია ნაპირდამცავი დამბის მოწყობა. მარცხენა დამბის საწყისი და საბოლოო წერტილის GPS კოორდინატებია: X-309936, Y-4740396; X-310425, Y-4740416; ხოლო, მარჯვენა დამბის საწყისი და საბოლოო წერტილის GPS კოორდინატებია: X-309755, X-4740333; X-310424, Y-4740359; უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო უბნიდან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მდ. ხელედულას მარცხენა ნაპირზე გათვალისწინებულია 510 მეტრი სიგრძის მქონე დამბის მოწყობა, ხოლო მარჯვენა ნაპირზე დამბის სიგრძე იქნება 687 მეტრი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოხდება არსებული კალაპოტის ამოწმენდა და დაღრმავება $H_{საშ} = 1.50-2.50$ მ-მდე, რის შემდეგაც მოხდება ჭალის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ნაპირდამცავი დამბის მოწყობა. ნაპირდაცვითი სამუშაოებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მდინარის კალაპოტში რამდენიმე ადგილას წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაციური დანაგროვები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდამცავი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ხელედულას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ხელედულას სიგრძე

საპროექტო მონაკვეთამდე შეადგენს 30.9 კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 314 კმ². დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯი საპროექტო უბანზე, შეადგენს 532 მ³/წმ-ს. მდ. ხელედულას კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე 2.625 მ-ის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მოსალოდნელი მაქსიმალური სიღრმე 4.20 მ-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ოთხი ავტოთვითმცლელი, ერთი ბულდოზერი და ორი ექსკავატორი. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის დაწყებამდე, 42 987 მ² (4. 29 ჰა) ფართობზე გათვალისწინებულია თხმელას და ტირიფის ხეების მოჭრა. მოსაჭრელი ხეების რაოდენობა შეადგენს 757 ერთეულს (თხმელა - 603, ტირიფი - 154), რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 224.39 მ³-ს. აღნიშნული ხეების მოჭრის საკითხის შეთანხმება მოხდება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. შემდეგ ეტაპზე განხორციელდება გრუნტის დამუშავება ექსკავატორით. დამუშავებული გრუნტი (მოცულობა 25 330 მ³) გადაიტანება ბულდოზერის მეშვეობით ნაპირისკენ. ბოლო ეტაპზე მოხდება ამოღებული გრუნტით დამბის მოწყობა და დატკეპნა. სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორია დასუფთავდება და გატანილი იქნება ნარჩენები. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 3 თვე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირსამაგრი სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება ავტოსატრანსპორტო სამუშაოები და სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე.

ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. როგორც უკვე აღინიშნა, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით და ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან იქნება 54 დბა. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლებს შორის წარმოადგენილია ბეტონის კედელი. ამასთან, გასათვალისწინებელია რელიეფური პირობები და მცირე ჰიფსომეტრიული სხვაობაც, რაც ხმაურის დონეს საანგარიშო წერტილებში შეამცირებს მინიმუმ 5 დბა-ით. გარდა ამისა, დაგეგმილია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება: ხმაურის ყველა წყაროს ერთდროული მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა მოხდება იშვიათ შემთხვევებში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი და ინტენსიური ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ხელედულასა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი

მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდ. ხელედულას წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სამეურნეო-ფეკალურ წყლებს, მათი შეგროვება მოხდება ბიოტულეტების ან საასენიზაციო ორმოს საშუალებით, რომელიც მშენებლობის დასრულების შემდგომ, გატანილი იქნება შესაბამისი სამსახურის მიერ.

საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ფერდის მაღალმთიანეთს. კერძოდ საკვლევ ტერიტორია წარმოადგენს მდ. ხელედულას ხეობას და მის კალაპოტს. გეოლოგიურად აგებულია კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ფლიშური ნალექებით. ზედა იურული, ცარცული და ნაწილობრივ პალეოგენური ასაკის ქანებით, წარმოდგენილი მერგელებით, ფიქლებით და ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით. საკვლევ უბანზე გამოიყოფა გრუნტების შემდეგი სახესხვაობა: სგე-1 რიყნარი, ლოდების ჩანართებით 20%-მდე, სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით. გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, საკვლევ მონაკვეთი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება მეორე კატეგორიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი (268 მ²), მდებარეობს სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ლენტეხის სატყეო უბნის ლენტეხის სატყეოში. შესაბამისად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. შესაბამისად, სკრინინგის განცხადების თანახმად სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ტყითსარგებლობის მიზნით საქმიანობის შეთანხმება მოხდება სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის გამო საპროექტო არეალი ძალზედ ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ. აქ ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი ფრინველთა და ქვეწარმავალთა წარმომადგენლები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ცხოველთა სამყაროზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ

საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი არ არის. მდ. ხელედულას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება გარემოსდაცვითი ხასიათისაა, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა და მოწყობილი ნაგებობა დადებითად შეერწყმება ლანდშაფტურ გარემოს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წანაშში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ხელედულას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

